

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ელგუჯა ჩხაიძის მიერ 2015 წელს
ამომრჩევლებისათვის ანგარიშის წარდგენის
ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

2.10.2015 წელი

საკრებულოს ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე შეხვდა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჭანჭათის სკოლის პედაგოგებს თავისი ანგარიშის წარდგენის მიზნით. მან აღნიშნა, რომ ის არის საკრებულოს ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე და თავისი საქმიანობას ანხორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით“ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, საკრებულოს რეგლამენტიცა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში თავისი უფლებამოსილების განხორციელება გამოიხატა შემდეგში. კერძოდ:

დაესწრო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომას და ბიუროს 9 სხდომას, სულ 26 სხდომას.

აქტიურად მონაწილეობდა ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ მიერ მოწვეულ 4 სხდომაში.

მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 10 სხდომაში და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 11 სხდომაში.

საკრებულოს ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მის მიერ პერიოდულად ხდება ინფრასტრუქტურული პროგრამების, სოფლის პროგრამებითა და სტიქის შედეგების აღმოსაფხვრელად შესრულებული სამუშაოების მიმდინარეობისა და ხარისხის შემოწმება.

ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე დაინტერესდა სოფ. ჭანჭათის ყოფითი პრობლემებით.

პედაგოგმა ეთერ წულაძემ აღნიშნა, რომ სოფელში არის წყლის მიწოდების პრობლემა, დაზიანებულია აუზები. მისი თქმით მალეობზე მცხოვრებლებს არ მიეწოდებათ წყალი.

პედაგოგი ნაილი გოგუაძე დაინტერესდა სოფელში გაზიფიცირების საკითხით. მან აღნიშნა, რომ სოფ. ჭანჭათის საყანე ფართობების გავლით მიეწოდება ოზურგეთს გაზი და დაინტერესდა როდის მოხდება სოფ. ჭანჭათის გაზიფიცირება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირებას სახელმწიფო მომავალი წლიდან აპირებს.

პედაგოგი ზიძინა ვადაჭკორია შეწუხებულია ელექტროენერჯის მიწოდების საკითხითაც, მისი თქმით დაბალი სიმძლავრის ტრანსფორმატორის გამო მოსახლეობას მიეწოდება დაბალი სიმძლავრის ელექტროენერჯია, რის გამოც შეუძლებელია ტექნიკის გამოყენება.

პედაგოგმა ნაილი გოგუაძემ აღნიშნა, რომ სოფ. ჭანჭათში დაწყებულია კულტურის სახლის მშენებლობა და დაინტერესდა თუ როდის დასრულდება.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სოფლის პროგრამით შენდება კულტურის სახლი და ახლო მომავალში მოხდება მისი დასრულება.

პედაგოგმა მკვა ვადაჭკორიამ ისაუბრა გზის პრობლემასთან დაკავშირებით, მისი თქმით უამინდობისას მოხრეშილი გზა წვიმის შედეგად ჩამოირეცხება და მის ეზოში იყრის თავს, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის მას.

საკრებულოს ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარეს ელგუჯა ჩხაიძეს მიაჩნია რომ, განვლილი საანგარიშო პერიოდში თავისი საქმიანობა მაქსიმალურად იყო მორგებული მოსახლეობის ინტერესებზე. ხოლო მომავალში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, იგი იმედოვნებს, რომ უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება თავისი საქმიანობა.

პატივისცემით,

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური

მომავლისათვის“ თავმჯდომარე:  ელგუჯა ჩხაიძე